საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 4284-03
29/12/2020

„2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, რეგისტრაციის ვადებისა და პროცედურის შესახებ“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 8 დეკემბრის N4201-03 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 8 დეკემბრის N4201-03 ბრძანებით გამოცხადდა მიღება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და მედიცინის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე, მათ შორის სადოქტორო პროგრამაზე - „ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი“. ზემოთ აღნიშნულ პროგრამას ამოეწურა მოქმედების ვადა 2020 წლის დეკემბერში, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 22 დეკემბრის MES 1 20 0001219696 გადაწყვეტილებით „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის რათა N4201-03 ბრძანებით გამოცხადებული მიღების ფარგლებში სადოქტორო პროგრამაზე „ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი“ დარეგისტრირებულმა აპლიკანტებმა გააგრძელონ კონკურსში მონაწილეობა ახალ ინგლისურენოვან სადოქტორო პროგრამაზე - „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“, უნდა შევიდეს ცვლილება რექტორის N4201-03 ბრძანებაში და „ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის“ ნაცვლად მითითებულ იქნას - „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“.

,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების საფუძველზე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანის, დავით თარხნიშვილის 2020 წლის 25 დეკემბრის N13000-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება „2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, რეგისტრაციის ვადებისა და პროცედურის შესახებ“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 8 დეკემბრის N4201-03 ბრძანების 1-ლი პუნქტის 1.5. ქვეპუნქტში, „ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის“ ნაცვლად მითითებულ იქნას - „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1.5. საზოგადოებრივი ჯანდაცვა - 4 ვაკანტური ადგილი;“
2. შევიდეს ცვლილება „2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის

სადოქტორო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, რეგისტრაციის ვადებისა და პროცედურის შესახებ“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 8 დეკემბრის N4201-03 ბრძანების მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტში, „ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის“ ნაცვლად მითითებულ იქნას - „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი არ გადის ინგლისური ენის გამოცდას და განაცხადს აკეთებს ფიზიკისა და ასტრონომიის, უჯრედული ნეირომეცნიერების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამაზე უნდა წარმოადგინოს ინგლისური ენის ცოდნის არანაკლებ B2 დონის ფლობის დამადასტურებელი ვალიდური საერთაშორისო სერტიფიკატი (TOEFL(P/B მინიმუმ 513 score; I/BT მინიმუმ 65 score); IELTS (მინიმუმ 5.5); მინიმუმ FCE); ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი ვალიდური სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს კანდიდატის ინგლისური ენის კომპეტენციას პროგრამით გათვალისწინებულ მინიმუმ B2 დონეზე ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს ამ ბრძანების და ბრძანებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაციის დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა და მოთხოვნის შემთხვევაში ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნა
4. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს, ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
5. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს, რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და იურიდიულ სამსახურს.

გიგა ზედანია

რექტორი